ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9457/01
26/09/2019

9457-01-2-201909260954

შპს „უ&ნ ჯგუფს“

მის: ქ. ქუთაისი, კოტე მესხის ქუჩა № 9/38

თქვენი 2019 წლის 29 ივლისის №10889 წერილით წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, გუგუნავას ქუჩაზე №1-ში მდებარე „პლასტმასის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენა) გადამამუშავებელი და პლასტმასის ნაკეთობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას“ გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს გარკვეული საკითხები, კერძოდ:

- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს მანძილი უახლოეს მოსახლემდე, შესაბამისად დასაზუსტებელია ასევე გზშ-ის ანგარიშში წამოდგენილი მავნე ნივთიერებთა გაბნევის გაანგარიშება და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. გაანგარიშება სავალდებულოა შესრულდეს ხელახლა 2013 წლის 31 დეკემბრის N408 დადგენილების მე-10 მუხლის გათვალისწინებით (რომლის თანახმადაც ზდგ-ის ნორმები დგინდება საწარმოდან დაშორებულ უახლოეს დასახლებული პუნქტებთან, ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებთან, სკოლებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან, სპორტულ კომპლექსებთან, პარკებთან, საერთო სარგებლობის სამკურნალო-პროფილაქტიკურ და გამაჯანსაღებელ დაწესებულებებთან, კვების მრეწველობის ობიექტებთან, აეროპორტებთან, აეროდრომებთან და რკინიგზის სადგურებთან მიმართებაში, მაგრამ არაუმეტეს საწარმოდან 500 მეტრის რადიუსის მანძილზე დაშორებისა);

- ინფორმაცია საწარმოს მიმდებარედ არსებული სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის ობიექტების შესახებ;

- გზშ-ს ანგარიშში გათვალისწინებულ უნდა იქნას დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. შემარბილებელ ღონისძიებებში და მონიტორინგის გეგმაში ასახული საკითხები არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშშით წარმოდგენილ საქმიანობას, აღნიშნულის გათვალისწინებით განხილული უნდა იყოს დაგეგმილი საქმინობის **კონკრეტული** და არა საერთო ხასიათის შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე